საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის

დადგენილება №9/2020
2020 წლის 10 ივლისი

ქ. თბილისი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2012 წლის 3 თებერვლის №7/2012 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 77-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და საქართველოს ორგანული კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ მე-20 მუხლის საფუძველზე, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია **ადგენს:**

მუხლი 1

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2012 წლის 3 თებერვლის №7/2012 დადგენილებით (სსმ, ვებგვერდი, www.matsne.gov.ge, 06/02/2012, 040030000.15.008.016025) დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის (შემდგომში – სწავლების ცენტრი) დებულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი სახის ცვლილებები:

1. დებულების მე-2 მუხლის:

ა) მე-2 პუნქტის „ე“-„ვ“ ქვეპუნქტები ამოღებულ იქნეს;

ბ) მე-3 პუნქტი ამოღებულ იქნეს;

გ) დებულების დანართი №1-ის (სსიპ – საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის მიერ საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების წესი) მე-4 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) სერტიფიკატებისა და პროექტების მართვის განყოფილება:

1. ინფორმაცია სერტიფიცირების შესახებ		
№	ინფორმაციის დასახელება	გამოქვეყნების ვადები
1.1	საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიცირების დებულება	მიღებიდან 24 საათის განმავლობაში
1.2	ინფორმაცია საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სასერტიფიკაციო გამოცდების გამოცხადების შესახებ	მიღებიდან 24 საათის განმავლობაში
1.3	სასერტიფიკაციო გამოცდის ტესტები	მიღებიდან 24 საათის განმავლობაში
1.4	ინფორმაცია სასერტიფიკაციო გამოცდაზე დარეგისტირებულ გამოსაცდელთა და სადამკვირვებლო ორგანიზაციათა	რეგისტრაციის ვადის ამოწურვიდან 5 დღის

	რაოდენობის შესახებ	განმავლობაში
1.5	სასერტიფიკაციო გამოცდების შედეგების სტატისტიკა	გამოცდების დასრულებიდან 10 დღის განმავლობაში

.“.

მუხლი 2

2020 წელს არჩეული პარლამენტის მიერ სრული უფლებამოსილების შეძენის მე-2 დღიდან, ამავე წელს დაფინანსებული საგრანტო პროექტების მონიტორინგს სწავლების ცენტრი ახდენს, ამ მუხლის ამოქმედების დღეს არსებული სწავლების ცენტრის დებულების დანართი №3-ით განსაზღვრული გრანტის გაცემის წესის მოქმედი რედაქციით და მონიტორინგის ვადად განისაზღვრება, ამავე გრანტის გაცემის წესით დადგენილი ყველა პროცედურის დასრულების ჩათვლით პერიოდი.

მუხლი 3

ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64) მისი მიღებიდან 2 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 4

1. ეს დადგენილება, გარდა ამ დადგენილების პირველი მუხლისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. ამ დადგენილების პირველი მუხლი ამოქმედდეს საქართველოს პარლამენტის მომდევნო არჩევნებში არჩეული პარლამენტის მიერ სრული უფლებამოსილების შეძენის დღიდან მე-2 დღეს.

კომისიის თავმჯდომარე **თამარ ჟვანია**

კომისიის მდივანი **გიორგი ჯავახიშვილი**